ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ52. 5224061001**

თარიღი:**01/03/2024**

**საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის „ე.ე“ და „ე.ვ“ ქვეპუნქტების, ამავე კანონის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის და 62-ე მუხლის, საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის “ე.ე“ ქვეპუნქტისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 76-ე მუხლის 3-ე პუნქტის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ**

**1.** დამტკიცდეს:

ა) საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფი დანართი 1 - ის შესაბამისად;

ბ) 2024 - 2025 წლების მუნიციპალიტეტის შიდა საბიუჯეტო კალენდარი დანართი 2 - ის შესაბამისად;

გ) საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მოსაწოდებელი განაცხადის ფორმები 3-6 -ე დანართების შესაბამისად.

**2.** დაევალოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს ერთი თვის ვადაში შეადგინოს:

ა) საბიუჯეტო კალენდართან (დანართი 2) შესაბამისი, საბიუჯეტო ორგანიზაციებთან შეხვედრების განრიგი;

ბ) წლიური ბიუჯეტისა და პროგრამების შესრულების ანგარიშის ფორმები 7-8 დანართის შესაბამისად.

**3.** საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა, ადმინისტრაცული და შესყიდვების სამსახურთან ერთად უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავებასათან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის კოორდინაცია და საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის შესაბამისი სწავლების ორგანიზება.

**4.** სამუშაო ჯგუფმა, სამსახურებმა, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფმა ორგანიზაციებმა (ა(ა)იპ, შპს) საგარეჯოს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტის დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შედგენისას იხელმძღვანელონ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის №385 ბრძანებით.

**5.** ბრძანების გაცნობის ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტა დაევალოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველად სტრუქტურულ ერთეულს ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურს.

**6.** ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**7.** ბრძანება ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს სიღნაღის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სიღნაღი, ცოტნე დადიანის ქუჩა N15).

ავთანდილი გულიკაშვილი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი